



1074/3-13/22 2 09022022

1074/3-13/22

09-02-2022

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს,

ბატონ ილია დარჩიაშვილს

ბატონო ილია,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ:

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - ა) საქართველოს მთავრობის განკარგულება „შპს „ნიუ ჰორიზონის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“;
 - ბ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოს მთავრობასა და შპს „ურბნისის ქარს“ შორის „ურბნისის ქარის ელექტროსადგური“-ს ელექტროსადგურის შესახებ დასადები ხელშეკრულების თაობაზე“;
 - გ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოს მთავრობასა და შპს „სტანდარტ ენერჯის“ შორის „რცხმელური“ ჰესის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ დასადები ხელშეკრულების თაობაზე“;
 - დ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“.

2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 იანვრის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - ა) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“;
 - ბ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „შპს „ფუჯინ სილქ ფროფერტისის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“;
 - გ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სააქციო კომპანია დიზონ ლიმიტედი-ს წარმომადგენლობისათვის საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №299 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „თემა ჯგუფის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“;
 - დ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „ქართული ჩაისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №1099 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

- ე) საქართველოს მთავრობის განკარგულება „შპს „რეჭიზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ვ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანასა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის №2372 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ზ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“
- თ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „საგადასახადო შეთანხმებების გაფორმების შესახებ“

3. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- ა) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირი მალხაზ მახოშვილისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“;
- ბ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იტონგ კავკასუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2046 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ცალკეულ იურიდიულ პირთა საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“;
- გ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“;
- დ) საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფინანსური ვალდებულებების გადავადების შესახებ“;
- ე) საქართველოს მთავრობის განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი გრძელვადიანი განსახლების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ამასთან, გთხოვთ მომაწოდოთ:

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სააქციო კომპანია დიზონ ლიმიტედი-ს წარმომადგენლობისათვის საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №299 განკარგულება;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „ქართული ჩაისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №1099 განკარგულება;

„შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანასა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის №2372 განკარგულება;

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იტონგ კავკასუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2046 განკარგულება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი

ანა ბუჩუკური

